



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



## განკარგულება N28

2013 წლის 8 თებერვალი

ქ. ხ ა შ უ რ ი

“ხაშურის მუნიციპალიტეტის სივრცით–ტერიტორიული მოწყობის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 24 დეკემბრის N166 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63–ე მუხლის შესაბამისად.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სივრცით–ტერიტორიული მოწყობის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 24 დეკემბრის N166 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1)განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:“ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

2)განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

“1. შეიქმნას ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა)თემურ ჩაჩანიძე–სივრცით–ტერიტორიული მოწყობის კომისიის თავმჯდომარე, დარგობრივი ეკონომიკისა და კომუნალურ მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

ბ)ოთარ ხაჩიძე–სივრცით–ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი, ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გ)თამაზ ჩუბინიძე–სივრცით–ტერიტორიული მოწყობის წევრი, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

დ)სამსონ ხითარიშვილი–სივრცით–ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;

ე)გიორგი კუპრაძე–სივრცით–ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი მოწვევით;

ვ)ვიტალი ფრანგიშვილი–სივრცით–ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი მოწვევით, შ.პ.ს. „გეოგრაფიკის“არქიტექტორი;

ზ)ჯემალ ხვედელიძე-სივრცით-ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის, ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების უფროსი;

თ)ლანა სადალაშვილი-სივრცით-ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი მოწვევით, სს „პროგრედიტ ბანკის“ არქიტექტორი;

ი)ემზარ ბუაძე-სივრცით-ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი მოწვევით.

კ)სერგო ლაცაბიძე-სივრცით-ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი მოწვევით, სს „ქართლი გაზის“ ხაშურის ბიზნეს ცენტრის უფროსი;

ლ)რუსლან ფციალაძე-სივრცით-ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი მოწვევით, შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხაშურის სერვის ცენტრის უფროსის მოადგილე;

მ)ომარ ხაჯაველიძე-სივრცით-ტერიტორიული მოწყობის კომისიის წევრი, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;”

2.განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

3.განკარგულება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში(ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2) და/ან სასამართლოში(ხაშური, კოსტავას ქ. N 15)

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



დ. ლომიძე